ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, რომ სკოლას ჰქონდეს არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებებს მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც მთლიანად მისაღწევ შედეგებზე და ცნებებზე იქნება დაფუძნებული.
ინდიკატორი 2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	მათემატიკა: სასურველია, ყველა თემასა და შემოქმედებით დავალებაზე შეიქმნას როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა სტრუქტურა მოიცავს: თემას, დავალების აღწერასა და პირობებს, მითითებას სამიზნე ცნებაზე/ სტანდარტის შედეგებზე, რომლებსაც დავალება ემსახურება, შეფასების რუბრიკას ან კრიტერიუმებს. სკოლამ პრაქტიკაში დანერგოს წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის მეოთხე და მეხუთე მუხლის მოთხოვნები.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით.



	რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	უცხოური ენები: კურიკულუმის ჩარჩოში კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის წარმოდგენილია იდეის დონეზე. სასურველია, მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება: შეირჩეს ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	ესთეტიკური აღზრდა: სასურველია, სხვა რესურსების დამატებაც სასწავლო პროცესის უკეთ წარსამართად.
ინდიკატორი 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	მათემატიკა: თემების დამუშავებისას სასურველია, პედაგოგებმა დაგეგმონ მრავალფეროვანი დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება და აქტიურად გამოიყენონ როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული რესურსები, რაც სასწავლო პროცესს გაცილებით ინტენსიურს და ეფექტურს გახდის.



ინდიკატორი 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	საზოგადოებრივი მეცნიერებები: სამომავლოდ საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ უზრუნველყოს დამატებითი დამხმარე რესურსების (მეთოდური ლიტერატურა, ანიმაცია, ფოტომასალა, ინტერნეტ რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები) ვალიდაცია.
-----------------------	---	---

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტზე სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა. გამოვლენილ ხარვეზებთან (1.2.1.3; 2.2.2.3; 3.4.1.1; 3.5.1.3; 3.6.3.5.) დაკავშირებით ინდიკატორების მიხედვით სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის ვადები. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით:

ინდიკატორი 1.2.1.3. შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა არაუმეტეს 12 თვისა. (2025 წლის 08 სექტემბრამდე)

ინდიკატორი 2.2.2.3. შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა არაუმეტეს 12 თვისა. (2026 წლის 25 ივლისამდე)

ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასდა ნაწილობრივი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა არაუმეტეს 24 თვისა. (2027 წლის 25 ივლისამდე)

ინდიკატორი 3.5.1.3. შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა არაუმეტეს 12 თვისა. (2025 წლის 15 სექტემბრამდე)

ინდიკატორი 3.6.3.5. შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა არაუმეტეს 12 თვისა. (2025 წლის 15 სექტემბრამდე)

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს

1. სკოლის მისია და ხედვა, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს. სკოლის მისია და ხედვა ჩამოყალიბებულია წერილობითი ფორმით და წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს.

სკოლის მისიაა: მოსწავლეებისთვის სწავლისადმი, როგორც მთელი სიცოცხლის მანძილზე განგრძობადი პროცესისადმი, ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება და 21-ე საუკუნეში წარმატებისა და პასუხისმგებლიანი მოქალაქეობისთვის საჭირო უნარებით აღჭურვა.

ხედვა: სეფიეთის სკოლა 2031 წელს იქნება საქართველოსა და რეგიონში წამყვანი და სწრაფად მზარდი სკოლა, რომელშიც საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფილია გარემო, რომელიც ორიენტირებულია საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენასა და განვითარებაზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლაში განხორციელებული პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები მიზნად ისახავს მისიასა და ხედვაში განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევას. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები და დასაქმებული პირები უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შექმნას და წესრიგის დაცვას კანონმდებლობისა და სკოლის მიერ

განსაზღვრული შიდა მექანიზმების შესაბამისად. სკოლის ფილოსოფიაში ხაზგასმულია სასკოლო საზოგადოების როლი მოსწავლეების მიღწევებსა და შედეგებზე, სკოლის მიზანია:

აღზარდოს მაღალი აკადემიური ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული თავისუფალი და პასუხისმგებელი, კრიტიკული აზროვნების, ეფექტური კომუნიკაციის უნარების, ჯანსაღი ღირებულებების მატარებელი ადამიანები, რომელთაც შეეძლებათ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმალური შეფასება და ცხოვრებაში რეალიზება.

შეუწყოს ხელი ინკლუზიური გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ მოსწავლეს აქვს განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა, სასწავლო გარემოსა და პროცესების ადაპტაციის გზით.

ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას და პედაგოგიური პრაქტიკის შემდგომ დახვეწასა და გამდიდრებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ისე მის გარეთ.

მოსწავლეთათვის შესაბამისი უნარების განვითარება, დამოუკიდებლად მოახერხოს საჭირო ინფორმაციის მოძიება, აღქმა, ანალიზი, დასკვნის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება;

მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა და განვითარება;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება;

უსაფრთხო და შესაძლებლობებით მრავალფეროვანი გარემოს შექმნა და მუდმივი სრულყოფა;

სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების მიზნით სკოლა ცდილობს გააძლიეროს ისეთი მიმართულებები, როგორიცაა სასკოლო პროცესების განხორციელებაში სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლას დირექტორის ბრძანებით N2-08 შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია სკოლის თანამშრომლებით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო საზოგადოების სხდომის ოქმი, რომელსაც ესწრებოდნენ, როგორც

სკოლის მასწავლებლები, ასევე მოსწავლეები და მშობლები. ოქმში მითითებულია, რომ სამუშაო ჯგუფმა სასკოლო საზოგადოებას წარუდგინა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროექტი. პროექტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმში ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოება ჩართული იყო სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში, სკოლის მისია გამოხატავს თემის სურვილებს და ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

4. სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმში და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ანგარიშში ჩანს, რომ სკოლის ფილოსოფია მოწონებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები, ასევე გაზიარებულია სკოლის სოციალურ გვერდზე და ვებ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის 16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“- დოკუმენტებით სკოლის სახელწოდებაა „სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის საჯარო სკოლა“. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

- სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება N2-08
- სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ოქმი N1

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის საჯარო სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს,

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს: სკოლის მისიის და ხედვის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, გაზიარებას, გადახედვას, განვითარებას და გასაჯაროებას; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებას, გაზიარებას და დამტკიცებას; სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს და შეფასებას; სტრატეგიული გეგმის ანგარიშის და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებას. ამავე დოკუმენტში აღწერილია სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და საქმიანობის წესი და პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლას წარმოდგენილი აქვს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2031 წლები.

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის სკოლას დაგეგმილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება;
- პედაგოგთა პროფესიული განვითარება;
- ინკლუზიური განათლების გაძლიერება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება ჩაშლილია ამოცანებად, მითითებულია შესრულების ვადებიც. სკოლის სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას და ხედვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმა მოიცავს მხოლოდ სამ სტრატეგიულ მიზანს, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას; პედაგოგთა პროფესიული განვითარებას; ინკლუზიური განათლების გაძლიერებას, ხოლო ერთწლიან სამოქმედო გეგმაში 7 სტრატეგიული მიზანია; სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება.

შესაბამისად, სამოქმედო გეგმა არ ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობით გათვალისწინებულ ვადებში (2025 წლის 8 სექტემბრამდე) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობა. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანები ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად. მითითებულია შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ინდიკატორები და საჭირო რესურსები. განხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა განხორციელებაც რეალისტურია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა.
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2031 წლები”

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში იდენტიფიცირებული საყურადღებო საკითხების ანალიზის შედეგები გამოიყენება მომდევნო სტრატეგიული გეგმისა თუ სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის. მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშების მომზადების/განხორციელების მექანიზმები გაწერილია მეთოდოლოგიის დოკუმენტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული, თუმცა მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სტრატეგიული განვითარებისა და შესრულების მონიტორინგი განხორციელდება მეთოდოლოგიაში განსაზღვრული

პროცედურების მიხედვით. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით (სამ წელიწადში ერთხელ), რაც გულისხმობს მის მონიტორინგსა და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებების შეტანას.

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლაში სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, დირექტორის ბრძანებით N2-08 დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი მოამზადებს ანგარიშს, რომელიც გამოქვეყნებული იქნება ვებ-გვერდზე. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის ვერ იკვეთება, რადგან სკოლას 2024-2025 სასწავლო წელს სკოლას არ ჰქონდა სტრატეგიული განვითარების გეგმა, მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს გეგმების დამტკიცებას და მონიტორინგის შედეგების გამოყენებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა.
- სსიპ აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2031 წლები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, კათედრებს და მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლაში მოქმედი პერსონალის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლას აქვს სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც აღწერილია სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები. თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2-31.

პედაგოგიური საბჭო შედგება - 22 მასწავლებლისაგან; აქედან 3 მოწვეული მასწავლებელია და 1 სპეციალური მასწავლებელი.

სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგობრივი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის, დაწყებითი საფეხურის. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ფუნქცია-მოვალეობები, მისი არჩევის წესი. აღნიშნული სტრუქტურული რგოლი აქტიურად არის ჩართული სკოლის მართვასა და ფუნქციონირებაში.

კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ბუღალტრისგან.

ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ხელშეკრულებით დასაქმებულია დამლაგებელი, დარაჯი და ექიმი. სამტატო განრიგი შემუშავებულია დირექტორის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტით, შინაგანაწესით და ხელშეკრულებით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები რეგულირდება სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი შემდეგი დოკუმენტით: თანამდებობრივი ინსტრუქციები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ოქმები
- თვითმართველობის დებულება.
- საშტატო განრიგი
- თანამდებობრივი ინსტრუქციები -ბრძანება N2-31
- სკოლის სტრუქტურა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად

სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

შინაგანაწესით განსაზღვრულია:

- ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

სკოლა აქვს ასევე ”ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომლითაც განსაზღვრულია: საჯარო სკოლის თანამშრომელთა შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, პერსონალის საქმიანობა, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის რეგულირება და თანამშრომელთა მართვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, რომლის მიზანია:

სკოლაში სასწავლო მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატიური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში მისი შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

სკოლა პერსონალს არჩევს კანონმდებლობის შესაბამისად, შიდა და გარე ვაკანსიის გამოცხადების გზით, ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით; სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად, დაწესებულება ვაკანტური პოზიციის განაცხადს ქმნის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე დაყრდნობით, შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შერჩევის ეტაპების განხორციელებას. სკოლა ვაკანტური ადგილის შესავსებად დოკუმენტაციას აქვეყნებს <http://teacherjobs.ge/> -ზე. სკოლამ წარმოადგინა სპორტის მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის მასალები. (საკონკურსო კომისიის ოქმი N2), ექსპერტთა მიერ გადამოწმდა გამოცხადებული ვაკანსიები და საკონკურსო კომისიის

სხდომის ოქმები, რითაც დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის შერჩევისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაქმების შეზღუდვის შემთხვევებს, და შესაბამისად ყველა თანამშრომელს წარმოდგენილი აქვს ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ, ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს

სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულებები სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული.

ხელშეკრულება მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს, თუმცა ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება ხელფასის ოდენობა, სკოლას მიეცა რჩევა საქართველოს შრომის კოდექსის 14-ე მუხლის შესაბამისად ხელშეკრულებებში მიუთითოს ხელფასის ოდენობა.

მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან პერსონალის კვალიფიკაცია. სკოლას მიეცა რჩევა, შეიმუშავოს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს

და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების ერთ-ერთ მექანიზმია პედაგოგებს შორის პედაგოგიური პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების, ტრენინგზე თუ კონფერენციაზე მიღებული სიახლეების, მიდგომების, მეთოდების გაზიარება, ახალი იდეების მხარდაჭერა. სკოლაში საკმაოდ ხშირად ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომელსაც რამდენიმე საგნის მასწავლებელი ერთად გეგმავს. დედაენის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ინტელექტუალური თამაში ყველაზე ჭკვიანი, მოეწყო დედაენის კუთხე, მათემატიკის კვირეულის ფარგლებში გაიმართა შემეცნებითი ვიქტორინა და სხვა.

სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში . სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- შინაგანაწესი
- სპორტის მასწავლებლის ვაკანტური პოზიციის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის მასალები.(საკონკურსო კომისიის ოქმი).

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლას აქვს შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია შესრულებული სამუშაოს შეფასება, რომლის თანახმადაც სკოლა სისტემატურად განახორციელებს პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად
ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შემუშავებული გეგმა, თუმცა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად სკოლა სისტემატურად განახორციელებს პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შეიმუშავებს გეგმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას
სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. ახდენს ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან
ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია მოიცავს: სასკოლო საზოგადოების გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შენობისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება-გაცნობას, პირადი საქმის შედგენას, სასკოლო დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობის გაცნობას. აღნიშნულიდან გამომდინარე თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან უზრუნველყოფილია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (მე-10 მუხლი). სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მაღლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისების მექანიზმები. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში 21-ე მუხლია თანამშრომელთა მოტივაცია, რომელიც გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ.

მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს:

1. მაღლობის გამოცხადება;
2. სიგელით დაჯილდოება;
3. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
4. ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ხარისხის მართვის სამსახურის დებულება
- შინაგანაწესი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს

სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელის მიზანია, სკოლაში სასწავლო მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატიური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში მისი შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები

მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა

შინაგანაწესის 22-ე მუხლით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებებიც მოიცავს გასაჩივრების პუნქტს, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი ზოგადია, სკოლას მიეცა რჩევა შეიმუშავოს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია, დასაქმებულების შრომის პირობების დაცვის წესები (მუხლი 9), დასაქმებულის დისკრიმინაციის შემზღუდავი მუხლები, თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება (მუხლი 19 მუხლი 23). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი.

მშობლის ინფორმირების წესის შესაბამისად, სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს საჭირო ღონისძიებებს. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების და უკუკავშირის მიღების მიზნით იყენებს სხვადასხვა ტიპის არხებს, მათ შორის, სოციალური ქსელს, კათედრების მიერ შექმნილ საკომუნიკაციო მესინჯერ-ჯგუფებსა და თიმის გუნდებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში, მოსწავლეთა თვითმმართველობაში და ა.შ. შესაბამისი წესით ჩართულია მოსწავლეთა და მშობლების წარმომადგენლები. აღნიშნული დასტურდება პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს და მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თვითმმართველობის დებულება
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- პედაგოგთა საბჭოს ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართუა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების

სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)

სკოლის ინფრასტრუქტურა, ასევე ადამიანური რესურსი ემსახურება მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლას არ ჰყავს მანდატური, თუმცა განსაზღვრული ჰყავს სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია სსიპ-მანდატურის სამსახურის მიერ და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს. მოსწავლეები მუდმივად არიან მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც სკოლის შენობაში, ასევე ეზოში. შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლაში არის 19 კამერა, აქედან 6 გარე კამერა, რომელიც სრულად აკონტროლებს ეზოს. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. დარაჯი ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ვიზუალური დათვალიერებით, შენობაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები, კერძოდ ორივე სართულზე, კედელზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც შეესაბამება შენობის აზომვით ნახაზს და მასზე მითითებულია საევაკუაციო გასასვლელი.

სკოლას არ აქვს შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, თუმცა სკოლას აქვს მიწერილი შესაბამის სამსახურთან. სკოლას აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა 2023 წლის 20 თებერვალს გაცემული, სკოლას 2025 წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, რის შემდეგაც მიღებული აქვს მიღება- ჩაბარება, რითიც დასტურდება რომ სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ჩაიბარა შესრულებული სამუშაოები. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო იბარებს დამთავრებულ სამუშაოებს და თვლის, რომ სამუშაოები შესრულებულია არსებული პროექტის ხარისხის მოთხოვნათა შესაბამისად.

სკოლის ეზოში არის ძველი შენობა, რომელიც განკუთვნილი იყო სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის, თუმცა რეაბილიტაციის დროს პროექტში არ იყო გათვალისწინებული. შენობა ნახევრად დანგრეულია და საფრთხის შემცველია მოსწავლეთათვის. დასკვნის შესაბამისად, მოცემული სახით სპორტული კომპლექსის შენობა არაადაკმაყოფილებელია, შენობის

შემდგომი ნორმალური და უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის აუცილებელია წინასწარ შედგენილი პროექტის მიხედვით კაპიტალური აღდგენა-რეაბილიტაცია.

სკოლას მიეცა რჩევა, აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად.

სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლას არ აქვს გვერდითა ღობე.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2025 წლის 15 სექტემბრამდე) უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2027 წლის 25 ივლისამდე)

უზრუნველყოს გვერდითა ღობის აღდგენა და უზრუნველყოს სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის განკუთვნილი შენობის დემონტაჟი.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული ჰყავს კვალიფიციური ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. სკოლას გაფორმებული აქვს ექიმთან ხელშეკრულება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია დარაჯი და ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სკოლის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმები. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ქცევის წესები, გადაუდებელი დახმარების ნომრები და ა.შ., რითაც ასევე რეგულირდება წესრიგის დაცვის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს

სკოლაში დასაქმებული პირები, ერთობლივად ქმნიან ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს. დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო კლასის პროგრამა, სადამრიგებლო კლასის საათზე განიხილავენ სხვადასხვა თემას, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. ხშირად ტარდება აქტივობები ბულინგის თემაზე **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებელი, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ოთახი. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამით დასაქმებული ჰყავს მეეზოვე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლის მიერ შექმნილი დოკუმენტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ მიზანია განსაზღვროს შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესები და პროცედურები და უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. აბაშის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ბრძანებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის მონაცემებიც კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები

სკოლაში არსებული პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში დაცულია სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომია მხოლოდ უფლებამოსილი პირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის

სკოლა აღნიშნული მიზნით აქტიურად იყენებს მრჩეველთა საბჭოს. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება მრჩეველთა საბჭოს ოქმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- დარაჯის ხელშეკრულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები.
- პერსონალური ოფიცრის დანიშვნის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სკოლა მდებარეობს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთში. სკოლა სამსართულიანია. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს **78 მოსწავლე**. სკოლაში დასაქმებულია 20 მასწავლებელი. სკოლას 2025 წელს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. ახალი რეაბილიტირებულია სპორტული მოედანიც. სკოლაში არის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, სასკოლო საზოგადოება სარგებლობს ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ლაბორატორიით, გამოყოფილი ოთახებით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც ასევე გამოკრულია ბიბლიოთეკაში. თუმცა არ აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლამ წარმოადგინა ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი. სკოლაში არ არის აღრიცხული წიგნადი ფონდი. *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2025 წლის 15 სექტემბრამდე) ბიბლიოთეკის დებულების შესაბამისად აღრიცხოს წიგნადი ფონდი. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია;*

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ქმნის ინკლუზიურ გარემოს. სკოლაში არის შესასვლელი პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები და ლიფტი. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, სკოლას აქვს რესურსოთახი. *ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლის ინფრასტრუქტურა (ღია სპორტული მოედნები, სკოლის ეზო,) ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. *ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.* დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ბიბლიოთეკის დებულება
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საკმარისი კომპიუტერული ტექნიკით, სკოლაში 8 კომპიუტერია, კომპიუტერულ ლაბორატორიაში ხელმისაწვდომია 6 ლეპტოპი; ყველა მუშა მდგომარეობაში. სკოლის მასწავლებლები აქტიურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში პროექტორებს. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. აღნიშნული რეგულირდება ზეპირი მითითებებით.

სკოლას მიეცა რჩევა, ცალკე დოკუმენტად შემუშავდეს კომპიუტერული ლაბორატორიის და სკოლაში არსებული ტექნიკის გამოყენების წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერების მიღება- ჩაბარება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

1. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტი საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას შეესაბამება. დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს დოკუმენტების ბრუნვა, აამაღლოს დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების ხარისხი და უზრუნველყოს დაწესებულების მუშაობის ეფექტიანობა.

დაწესებულებაში იწარმოება შემდეგი სახის აღრიცხვის ჟურნალები:

1. შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;
2. გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი;

3. საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;

4. საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი;

5. თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი;

საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს.

სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი, გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი და შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა:sepieti@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში(E-school). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(E-school.emis.ge), სრულად არის ასახული თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები.სსსმ მოსწავლეების მონაცემები ასახულია, ატვირთულია მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნები და

მიმაგრებულია სპეცმასწავლებელი. ასახულია მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის

მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

ადგილზე სისტემის ვიზუალურად დათვალიერებით აღმოჩნდა, რომ ყველა ანგარიშს და ინფორმაციას დროულად აწვდიან რესურსცენტრს, დროულად აწვდიან ფინანსურ ანგარიშებს. სკოლას გამოქვეყნებული აქვს ანგარიში მაცნეს გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, დროულად ბარდება დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.

სკოლას აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ გვერდი, <https://skolebi.emis.ge/school>, რომელზეც გამოქვეყნებულია სკოლის შესახებ ზოგადი ინფორმაცია, (სკოლის ტიპი, შენობების

რაოდენობა, მასწავლებელთა რაოდენობა, მოსწავლეთა რაოდენობა, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა) სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს და სოციალურ გვერდს (facebook). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რათა სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს სანდო და უტყუარი. სკოლას ამ მიზნით გამოყოფილი ჰყავს სპეციალური პირი, რომელსაც ევალება ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება, პასუხისმგებელია ამ გვერდის ფუნქციონირებაზე, მას ინფორმაციას აწვდიან დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლები. ინფორმაცია გამოქვეყნების წინ ყოველთვის მოწმდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ნებისმიერ საყურადღებო ინფორმაციას, რომელსაც სკოლა იღებს სხვადასხვა არხებით, სოციალური ქსელით, მშობელთა კრებაზე, მრჩეველთა საბჭოზე, პედსაბჭოზე, კათედრებზე, სკოლის დირექცია აანალიზებს და ითვალისწინებენ შემდგომ მუშაობის პროცესში.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

სკოლის ვებგვერდზე <https://skolebi.emis.ge/school> ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში,

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ-გვერდზე ინფორმაცია სრულად არ არის ატვირთული. ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები და საკონტაქტო ინფორმაცია. არ არის ატვირთული პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები. *სკოლას მიეცა რეკომენდაცია შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2025 წლის 15 სექტემბრამდე) სრულად განათავსოს ვებ-გვერდზე სკოლის შესახებ ინფორმაცია. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია*

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ გვერდი <https://skolebi.emis.ge/>
- ვიზუალური დათვალიერება
- სოციალური ქსელი facebook-ის გვერდი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

სკოლას აქვს ბიუჯეტი, რომელსაც სკოლის დირექტორი შეიმუშავებს წინა წლის ბიუჯეტის შესრულების და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე და თანხების განკარგვა მიმდინარეობს დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. ბიუჯეტის საფუძველზე ხდება შესყიდვების გეგმის შედგენა. გაუჩერული დაფინანსების გაზრდის ან/და სხვა შემოსავლების გაზრდის შემთხვევებში კანონმდებლობის დაცვით ხდება ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა, ასევე შესყიდვების გეგმის კორექტირება. სკოლის დირექტორი 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს. ბიუჯეტი აგებულია სკოლის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე და მთელი წლის მანძილზე ბიუჯეტის მიხედვით ხდება თანხების მიზნობრივი ხარჯვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად. სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს სკოლის ბიუჯეტს დასამტკიცებლად, სკოლას შემუშავებული აქვს შესყიდვების წლიური გეგმა. სკოლა ყოველი წლის ნოემბრის თვეში შეიმუშავებს შესყიდვების წლიურ

გეგმას და ტვირთავს გვერდზე ePLAN, როგორც გეგმას ასევე შესრულების ანგარიშს. სკოლას მიეცა რჩევა, ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის) მიზნით აწარმოოს საბიბლიოთეკო ფონდის ინვენტარიზაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სკოლის შინაგანაწესი, ცალკე მუხლებად გამოყოფს: მუხლი 11. მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მუხლი 16. მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები;

მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესს; მოსწავლის ქცევის კოდექსს; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხას; სკოლაში არსებულ მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემას; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად სკოლა ვალდებულია მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საკითხები, ასევე კლასის დამრიგებელმა რეგულარულად უნდა მიაწოდოს მშობელს მოსწავლის აკადემიური შეფასების, დისციპლინის, სირთულეებსა და მიღწევების შესახებ. სკოლის შინაგანაწესი, დებულება და სხვა მარეგულირებელი აქტები ხელმისაწვდომია სკოლის ვებ-გვერდზე და გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, სასწავლო დროს, დასვენების დროს, უქმე დღეებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესს, დავების გადაწყვეტა და მის მარეგულირებელი კანონმდებლობას, დამატებითი პირობებს, შინაგანაწესის გაცნობას, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლა ხელმძღვანელობს კანონმდებლობით, კერძოდ: “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესით” (საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის ბრძანებით N04/5). მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. სკოლას მიეცა რჩევა, ცალკე დოკუმენტად გაწეროს მოსწავლის ჩარიცხვის, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

მართვის საინფორმაციო სისტემის E-school.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროგრამები (საგნობრივი კურიკულუმები), რის შესახებაც კლასების დამრიგებლები მშობელთა კრებებზე აწვდიან ინფორმაციას მშობლებს და აცნობენ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილებს. საინფორმაციო შეხვედრები ტარდება სასწავლო წლის დასაწყისში. დამრიგებლების მიერ მშობლებსა და მოსწავლეებს მიეწოდებათ ინფორმაცია წლის განმავლობაში გამოცხადებული კონკურსების, ოლიმპიადების

და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. ასევე, სკოლის და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი აქტივობების შესახებ. კომუნიკაციის კუთხით, აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელები, დახურული ჯგუფები და სხვა ონლაინ პლატფორმები. სკოლა მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. მოსწავლეებს აქვთ საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის არჩევის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სკოლა ინფორმაციას აწვდის დამრიგებლების მეშვეობით, რომლებიც მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და აცნობენ სკოლის მიერ მიღებულ ყოველ ახალ გადაწყვეტილებას. სკოლის მიერ შეთავაზებული პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია მუშავდება სკოლის დირექციის მიერ და დაინტერესებულ პირს მიეწოდება მხოლოდ შეთანხმებული ინფორმაცია. შესაბამისად, სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ყველა ზემოთაღნიშნული ინფორმაცია თავსდება სკოლის სოციალური ქსელსა და საჯარო საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- შინაგანაწესი
- E-school-ის ბაზა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა. სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს:სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მნიშვნელობას და მიზნებს, ადაპტაციის ეტაპებს, სკოლასთან ადაპტაციის განმსაზღვრელი ფაქტორებს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

კლასის დამრიგებლები ახალ მოსწავლეებს ეხმარებიან სკოლაში ადაპტაციის პროცესში, კერძოდ, დამრიგებლები ხელს უწყობენ მოსწავლეების გაცნობასა და დამეგობრებას. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს წარუდგენს თანაკლასელებს და აცნობს საგნის მასწავლებლებს. გარემოს გასაცნობად დამრიგებელი მოსწავლეს ათვალიერებინებს სკოლის შენობას და სასკოლო რესურსებს. აცნობს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით და სასწავლო რესურსებით სარგებლობის წესებს. დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს თავის უფლებამოსებებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს და სხვა საჭირო შიდა აქტებს, ასევე, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით და სკოლის წესდებით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. ასევე მასწავლებლები უწევენ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირებას წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. დავალებების შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია მოსწავლისთვის. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში ჩართულია მშობელი, მათ აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან, დამრიგებელი წერილობითი ფორმით ან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით ატყობინებს მშობელს მოსწავლის მიღწევების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დამღევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი ღონისძიება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

აქტივობები, რომლებიც სკოლაში იმართება, ძირითადად მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან აზრთა გაზიარებისა და შეთანხმების შედეგად ხორციელდება. სკოლას აქვს მოსწავლეთა და დაინტერესებული პირებისგან უკუკავშირის მიღების პრაქტიკა, რაც გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის მომსახურების გაწევისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია** დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განხორციელებული პროექტები
- თვითმმართველობის დებულება,

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

სკოლა მოსწავლეებს სისტემატურად აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებისა და სხვადასხვა პროფესიების შესახებ. სკოლა სიახლეებს აცნობს ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე / ლექციებზე დასწრებას. მიღებულ ინფორმაციას დირექცია აწვდის შესაბამისი კლასების დამრიგებლებს, რომლებიც, თავის მხრივ, აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, ძირითადად სოციალური ქსელების. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლა აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროფესიული სასწავლებლების მიერ დაგეგმილი ღია კარის დღეების შესახებ, რათა მოსწავლეებმა მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია აღნიშნული დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სიახლეებისა და საგანმანათლებლო სერვისების შესახებ. სკოლაში დამკვიდრებულია სხვადასხვა პროფესიის წარმატებული ადამიანების მოწვევა კარიერული განვითარების საკითხებზე ინფორმირების და დისკუსიით მიზნით. მაგალითად, სკოლაში მოწვეული იქნა დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის კურსდამთავრებული, რომელმაც მოსწავლეებს გააცნო აკადემიის შესაძლებლობები და შემოთავაზებები.

მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას სკოლა ახორციელებს მშობელთა კრებებზე, სადამრიგებლო საათის ფარგლებში, სხვა საკომუნიკაციო ჯგუფებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლის დირექციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ სასწავლო წლის ბოლოს სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინებს და შეაფასებს მომსახურების შედეგებს, გააკეთებს ანალიზს, რამდენად კარგად დაგეგმა სკოლის კურსდამთავრებულმა თავისი კარიერული გზა, რამდენად კარგად დაეხმარა მას სკოლა ამ გზის არჩევაში, რიგ შემთხვევაში მიიღო თუ არა მის არჩევანში მონაწილეობა. ყველაფრის გათვალისწინებით დაიგეგმება შემდეგი წლის აქტივობები მოსწავლეთა კარიერული განვითარების დახმარების თვალსაზრისით, რაც ხელს შეუწყობს პროგრესის მიღწევას ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი
- განხორციელებული პროექტები
- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ისგ-ს ოქმში. სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე და 1 სპეციალური მასწავლებელი. მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა ატვირთულია E-school-ის ბაზაში. რესურს ოთახის კარებთან გაკრულია სპეციალური მასწავლებლის მუშაობის განრიგი. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

პედაგოგები სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით, სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნვენ დამრიგებლები, სხვადასხვა

საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისე ჯგუფი შეხვედრას მართავს სასწავლო წლის განმავლობაში ოთხჯერ, შეხვედრების მიზანია მოსწავლის მიღწევებზე საუბარი და ახალი საჭიროებების დადგენა, შესაბამისად, ისე-ს ცვლილება. სსსმ მოსწავლეების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სამ თვეში ერთხელ სპეციალური მასწავლებელი აწვდის წერილობით ინფორმაციას მოსწავლის მდგომარეობასთან დაკავშირებით. სკოლაში ცნობიერების ამაღლების მიზნით იმართება ღონისძიებები. ისე ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისე გეგმები
- შიდა მონიტორინგის დასკვნა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის „საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება“ ფარგლებში, რომელსაც კურირებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს

მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს, შესაბამისად სკოლაში ყველა სერვისი და მომსახურება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება <i>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)</i>
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება



	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტში გამახვილებულია ყურადღება შემდეგ საკითხებზე: რა არის / რას ემსახურება სასკოლო კურიკულუმი; სისტემური დონის რეგულაციები რომლებსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმი; პროცესებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები / პოზიციები; პროცესში ჩართული მხარეები; ძირითადი პროცესები: კავშირი სხვა პროცესებთან. მე-2 მუხლის შესაბამისად: კურიკულუმის ფუნქციაა ერთი მხრივ წარმოაჩინოს სკოლის ტრადიციები და პრიორიტეტები, მეორე მხრივ კი უზრუნველყოს შეთანხმება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმის დანერგვა მაშინ მიმდინარეობს წარმატებით, როცა მის შინაარსს იზიარებენ და მის განვითარებაში მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები, დირექცია და მშობლები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად, სადაც გაითვალისწინეს თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა აზრის გათვალისწინება, სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. მშობლებთან კომუნიკაციით (სოციალური ქსელით, მშობელთა ბარათების გამოყენებით და სხვა) იკვეთება მათი ინტერესები. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება/ასახვის დასტურია, მაგალითად, მეორე უცხოური ენის არჩევის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

თითოეული პედაგოგი ცდილობს ურთიერთთანამშრომლობის გზით ჩაერთოს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ისინი, როგორც აღნიშნავენ, უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევების შესახებ. კათედრის წევრები აქტიურად მუშაობენ კურიკულუმის შემუშავებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

შემუშავებული კურიკულუმი განიხილება კათედრის მიერ. დამტკიცებული კურიკულუმების შესახებ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელის, დამრიგებლების მიერ მოწვეული მშობელთა კრების, ასევე, საინფორმაციო დაფების მეშვეობით. მასწავლებლები ითვალისწინებენ კოლეგების საუკეთესო გამოცდილებას. შემუშავებული კურიკულუმები განიხილება სამეურვეო საბჭოს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი ბუნებისმეტყველების კურიკულუმების ჩარჩოები სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. შუალედურ მიზნებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები, რომლებიც ემსახურება სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებზე გასვლას და საგნობრივი საკითხის გააზრებას, ორიენტირებულია მოსწავლეზე და ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას შესასწავლი საკითხებით. რჩევა: დაწყებითი საფეხური (ბუნებისმეტყველება): · ყურადღება მიაქციეთ, რომ კურიკულუმებით უზრუნველყოფილი იყოს ყველა სამიზნე ცნებაზე გასვლა (მაგ. მე-4 კლასში არ ჩანს სამიზნე ცნება-გარემოს დაცვა) · სასურველია, რომ კომპლექსური დავალებები დააფუძნოთ კონტექსტ-მაგალითებს. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შესთავაზეთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები,
---------------------------------------	---



	სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. · სასურველია, კომპლექსური დავალების პირობაში მკაფიოდ გამოკვეთოთ შემოქმედებითი პროდუქტის აღწერა. · სასურველია, კურიკულუმში მხოლოდ სტანდარტის თემები ასახეთ და არა სახელმძღვანელოს თემები. (მე-5 და მე-6 კლასების კურიკულუმებში მოცემული თემები შეუსაბამეთ ესგ-თი გათვალისწინებულ თემებს) საბაზო საფეხური: · ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად შესთავაზეთ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის ხელმისაწვდომი კონტექსტ-მაგალითები (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მოსწავლეებს სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. · გაითვალისწინეთ, კომპლექსური დავალების პირობაში მკაფიოდ გამოკვეთოთ შემოქმედებითი პროდუქტის აღწერა. · გაითვალისწინეთ, კურიკულუმში მხოლოდ სტანდარტის თემები ასახეთ და არა სახელმძღვანელოს თემები. (ფიზიკის მე-8 კლასის კურიკულუმში მოცემული თემები შეუსაბამეთ ესგ-თი გათვალისწინებულ თემებს)
--	--



	კურიკულუმებში აუცილებლად შეიტანეთ სტანდარტით განსაზღვრული ყველა სასწავლო თემა (მე-9 კლასის ბიოლოგიის სტანდარტში აუცილებლად შეიტანეთ თემა “რეპროდუქციული სისტემა და ჯანმრთელობა”)
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. კურიკულუმში მოცემული საკითხები, რესურსები, შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და გამოცდილებას. ძირითადი კონტექსტ-მაგალითები ეფუძნება მოსწავლეთა ნაცნობ კონტექსტებს. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია სხვადასხვაგვარი რესურსების გამოყენება, მაგ. ინტერნეტ რესურსები, დამატებითი ლიტერატურა, რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია კურიკულუმების შედგენისას მკაფიოდ იყოს გაწერილი სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების მახასიათებლები, კონტექსტ-მაგალითები, რომლებსაც მოსწავლე მიჰყავს ესგ-ით გაწერილ მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებამდე.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრამ სამივე საფეხურზე წარმოადგინა კურიკულუმის ჩარჩო. გამონაკლისს წარმოადგენს მე-10 კლასის კურიკულუმი რუსულ ენაში საშუალო საფეხურზე. კურიკულუმის ანალიზისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ კათედრას აქვს ხედვა თუ



	როგორ განახორციელოს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი და აჩვენოს მოსწავლეთა განვითარების გზა. კათედრა გეგმავს წინა წლების გამოცდილების საფუძველზე მოსწავლეებს შესთავაზოს კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. რჩევა: საშუალო საფეხური- სასურველია, შეიქმნას მე-10 კლასის კურიკულუმის ჩარჩო რუსულ ენაში გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით.
ესთეტიკური აღზრდა	უმეტესი თემა მუსიკასა და ხელოვნებაში მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზეა ორიენტირებული. □სევე კურიკულუმში წარმოდგენილი თემები საკმაოდ დიდ შემოქმედებით დიაპაზონს მოიცავს და სხვადასხვა ინტერესის თუ შესაძლებლობის მოსწავლის ჩართულობას ითვალისწინებს. თუმცა, ხელოვნებაში პირველი და მეორე კლასის კურიკულუმში თემების ნაცვლად თემატური ბლოკები იყო წარმოდგენილი, რაც არასწორია. ასევე, კურიკულუმებში არ არის მითითებული რომელი თემა რომელი თემატური ბლოკის ფარგლებში ხორციელდება. რჩევა: ხელოვნებაში სავალდებულო თემატური ბლოკების თემებად გაწერა არასწორია. სასურველია გაიწეროს სხვა თემები, რომლებიც რომელიმე ამ თემატური ბლოკის ფარგლებში განხორციელდება. ხელოვნებაში, ძირითადად ყველა კურიკულუმში სამ-სამი თემაა



	წარმოდგენილი. საბაზოზე ეს შესაძლებელია, თუმცა დაწყებით სფეროზე სამი თემა ძალიან ცოტაა და აუცილებელია დაემატოს თემები.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმი სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები, შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შემოქმედებით პროდუქტზე მუშაობის დროს, მოსწავლეები ითვალისწინებენ წინასწარ განსაზღვრულ შეფასების კრიტერიუმებს, ხოლო მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ აღსაზრდელთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს.
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები იძლევა შესაძლებლობას სასწავლო პროცესი დაიგეგმოს მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით. საგნობრივი კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან: კურიკულუმებში გაწერილია სასწავლო თემები გრძელვადიანი და შუალედური სასწავლო მიზნები, საკითხები, კონტექსტ მაგალითები და რესურსები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის



	დაგეგმვისას ითვალისწინებენ მოსწავლეების საჭიროებებს, შემოქმედებით დავალებებს გეგმავენ მოსწავლეებისათვის ნაცნობ კონტექსტიდან გამომდინარე. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო საფეხური) მე-5, მე-6, მე-8, კლასის კურიკულუმებში რიგ თემებში, სადაც დაგეგმილია შემოქმედებითი/კომპლექსური ტიპის დავალებები, სასურველია გაიწეროს კონტექსტ-მაგალითები. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) კონტექსტ-მაგალითები გაიწეროს დეტალურად, რომ ნათლად გამოჩნდეს, რა მასალაზე დაყრდნობით ხდება თემის დამუშავება. ესგ-ს მოთხოვნებს შესაბამისად მნიშვნელოვანია სკოლამ ეტაპორივად, მზაობიდან გამომდინარე, გაზარდოს თემების რაოდენობა, რომლებშიც შუალედური სასწავლო მიზანი გაწერილია შემოქმედებითი ტიპის დავალების ფორმით. რჩევა: (საშუალო საფეხური) სასურველია, გაიწეროს შუალედური მიზნები მეთორმეტე კლასის კურიკულუმში.
სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე. მათში შეტანილი სასწავლო თემები, ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებასა და მათ გაყვანას საფეხურეობრივი სტანდარტის შესაბამის მოსალოდნელ შედეგზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი თითოეული საფეხურის ზოგიერთი კურიკულუმების ჩარჩოში იყო მცირე შინაარსობრივი უზუსტობები და ტექნიკური



	შეცდომები. პედაგოგებმა ინტერვიუს პროცესში მიიღეს შესაბამისი რჩევები კონკრეტული კურიკულუმების სრულყოფისათვის.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგთან გასაუბრების შედეგად იკვეთება, რომ კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები სკოლის დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლეზე და შემუშავებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი (თემა/საკითხი) უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, შუალედური მიზანი/მიზნები წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქტს. რჩევა: კონტექსტ-მაგალითები გაიწეროს დეტალურად, რომ ნათლად გამოჩნდეს რა მასალაზე დაყრდნობით ხდება თემის დამუშავება. ასევე ნათლად იყოს ნაჩვენები მაგალითები მაგალითებისათვის ეს შეიძლება იყოს: ლინკი სურათი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, სკოლის მისია, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. კურიკულუმებში იკითხება, თუ რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. რჩევა: დაწყებითი და საბაზო საფეხური: სასურველია, კურიკულუმში მხოლოდ სტანდარტის თემები ასახოთ და არა სახელმძღვანელოს თემები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით და მიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისკენ. გათვალისწინებულია სავალდებულო თემები. სწავლების პროცესი ეფუძნება ნაცნობ კონტესტებზე დაყრდნობით ცოდნის აგების პრინციპს. კურიკულუმით გათვალისწინებული შუალედური მიზნები ითვალისწინებს მოსწავლეთა მიერ ცოდნის ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენების შესაძლებლობას. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემები და სამიზნე ცნებები გაწერილი იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. კურიკულუმში გაუმჯობესებას საჭიროებს



	ძირითადი კონტექსტ მაგალითი, ქვეცნებები, ქვესაკითხები, შემოქმედებითი დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. საშუალო საფეხური: სასურველია, მე-12 კლასისთვის ცალკ-ცალკე გაიწეროს ისტორიისა და საქართველოს ისტორიის კურიკულუმი.
უცხოური ენები	სამივე საფეხურის კურიკულუმები სასწავლო პროცესი იგეგმება სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს და შეთანხმდეს კურიკულუმის ერთიან ფორმატზე. მოხდეს კურიკულუმების (ინგლისური, რუსული) გადახედვა, რევიზია და შეივსოს ყველა აუცილებელი კომპონენტი: სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, გამოიკვეთოს ძირითადი საკითხები.
ესთეტიკური აღზრდა	თემები აგებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისად. □ ითოვული წარმოდგენილი თემა მუსიკასა და ხელოვნებაში, მისთვის შერჩეული ცნებები და ქვეცნებები, შემოქმედებითი პროდუქტი სწორედ ამ მიზნის მიღწევის ხელშემწყობია. □ მასვე ადასტურებს შეფასების კრიტერიუმები და რამდენიმე შესრულებული დავალების მაგალითიც, რომლებიც მასწავლებლებმა გამიზიარეს.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო



	კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, სათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ბუნების დავალებით.
მათემატიკა	დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში ასახულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. ყველა კლასში თითოეულ თემაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შუალედური სასწავლო მიზნები, დაგეგმილი შემოქმედებითი ტიპის დავალების ფორმით, მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეძლოს ინფორმაციის გააზრება და დასმული პრობლემის გადაჭრა.
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმები მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმასა და ითვალისწინებს საგნის ზოგად მიზნებს, საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგს, სამიზნე ცნებებს. სასწავლო თემები შეტანილია სტანდარტით შეთავაზებული თემატური ბლოკებიდან.
ტექნოლოგიები	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების დაფარვას ემსახურება. შუალედური სასწავლო მიზანი, კომპლექსური დავალება, საშუალებას იძლევა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება. შემუშავებული კურიკულუმები,



	მოსწავლეთა შეფასების დოკუმენტები, მასწავლებლის თვითრეფლექსია საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ თემა, სამიზნე ცნება, სასწავლო რესურსები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები რეალიზდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: ა) სიღრმისეული სწავლა; ბ) პოზიტიური სასწავლო გარემო; გ) ინკლუზიური განათლება. კურიკულუმები შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები. რჩევა: სასურველია, მომავალში გაითვალისწინონ და კურიკულუმებში აისახოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული თემები და თემაში - ყველა სამიზნე ცნება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას



საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რესურსები უზრუნველყოფს კურიკულუმებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ასევე მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი. რჩევა: საბაზო - სასურველია, კურიკულუმში ასახოთ, რომელ მატერიალურ რესურსებს იყენებთ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა. საშუალო - სასურველია, კურიკულუმში ასახოთ, რომელ მატერიალურ რესურსებს იყენებთ გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, სამეცნიერო ვიდეოები, ტელესკოლის გაკვეთილები, თემატური რუკები. ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რჩევა: საშუალო საფეხური: სასურველია პროექტულ სწავლება საგან მოქალაქეობაში გამოყენებულ იქნეს სასწავლო რესურსი, რომელიც არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.



	(დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია ყველა თემის ფარგლებში გამრავალფეროვნდეს და დაკონკრეტდეს საგანმანათლებლო რესურსები.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლის ასაკისა და ენის ფლობის დონის შესაბამისი რესურსები, რაც დაეხმარება მოსწავლეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში და საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში. რჩევა: სასურველია, პროექტული ტიპის დავალებების დაგეგმვის პროცესში მოძიებული იქნას ძირითადი საკითხისა და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით დამატებითი რესურსები, გარდა სახელმძღვანელოში მოცემული მასალისა.
ესთეტიკური აღზრდა	ვინაიდან, თითოეულ საფეხურზე გრიფირებული სახელმძღვანელოებია შერჩეული, ეს რესურსი ცხადია უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ზოგიერთ კლასში (დაწყებით საფეხურზე) რესურსად მხოლოდ სახელმძღვანელოა წარმოდგენილი, ამიტომ აუცილებელია დამატებითი რესურსების შემოტანა. კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები საკმაოდ მწირია. უმეტესად მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული ან კიდევ სამინისტროს რესურსები, თუმცა არ არის მითითებული რომელი. რამდენიმე კლასში ტვსკოლაც არის ჩართული რესურსის სახით.



	რჩევა: კურიკულუმი საჭიროებს მრავალფეროვან რესურსებს. ასევე, რესურსებში არ იწერება ხელოვნების საგნისთვის საჭირო რესურსები, მაგ., ფანქარი, სარეზავი და ასე შემდეგ, რაც მოცემულ კურიკულუმებში ქონდა ჩასმული ხელოვნების მასწავლებელს.
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი საგანმანათლებლო რესურსი სწორად და მიზნობრივად არის შერჩეული. პედაგოგები ძირითად სასწავლო რესურსად იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. ამასთანავე, შემოქმედებითი ხასიათის დავალებებზე მუშაობისას მითითებული აქვთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი და დამხმარე მასალა.
მათემატიკა	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია რესურსები, რომელთა გამოყენება სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს სასწავლო შედეგების მიღწევას. რჩევა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური): სასურველია დამხმარე რესურსების ჩამონათვალი უფრო მრავალფეროვანი გახდეს, კურიკულუმებში თითოეული თემის შესწავლისას კურიკულუმის „სასწავლო რესურსების“ სვეტში აღინიშნოს: ძირითადი სასწავლო რესურსები, მითითებული სახელმძღვანელოს კონკრეტული თავების (თავი, ქვეთავი, გვერდის ნომერი) სახით; დამატებითი რესურსები, მათ შორის ელექტრონული რესურსების მოქმედი ბმულები. სასურველია, რესურსების მითითების ერთიანი სტილის გამოყალიბება.
სპორტი	კურიკულუმებში შეტანილია ისეთი სასწავლო თემები, რომელთა განხორციელებასაც შეძლებენ არსებული, მატერიალური რესურსით (სპორტული ინვენტარი; გარე მოედანი).



	სასწავლო პროცესში რესურსად იყენებენ მასწავლებლის დამხმარე გზამკვლევებს სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით. ასევე ელექტრონული რესურსებს ცხოვრების ჯანსაღი წესის პრინციპების შესახებ. საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან (სამივე საფეხურისთვის), ზოგიერთ მათგანში, ტექნიკური ხარვეზის გამო, ცარიელი იყო რესურსების ნაწილი და ინტერვიუსას პედაგოგებს მიეცათ რჩევა, რომ შეავსონ ისინი მათ მიერ წარმოდგენილი სრულყოფილი კურიკულუმების მსგავსად.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი სასწავლო რესურსი, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. აგრეთვე კურიკულუმებში არის წარმოდგენილი ონლაინ რესურსები და ბმულები. საგნობრივი კათედრები განიხილავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ სასკოლო სასწავლო რესურსების ვალიდურობას. რჩევა: სასურველია, გამოიყენოთ მრავალფეროვანი რესურსი. კურიკულუმში მითითებულია მხოლოდ ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი school.emis.ge
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს



	შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. რჩევა: სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.
--	---

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კომპლექსურ დავალებებზე, პროექტებზე მუშაობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი აქტივობები შესთავაზოს მათ. კურიკულუმებს თან ერთვის წარმოდგენილია თემატური მატრიცები, სადაც გაწერილია კომპლექსური დავალების პირობა და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ეტაპები, ნაბიჯები, რაც განახორციელეს მასწავლებელმა თავის მოსწავლეებთან ერთად. აქტივობები მრავალფეროვანია და მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ მოსწავლისთვის. რჩევა:
--------------------------------	--



	მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით, შეგიძლით მოსწავლეებს შესთავაზოთ არჩევანი კომპლექსური დავალების პროდუქტების შექმნისას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები. კურიკულუმი წარმოდგენილია ძირითადი საკითხების, კონტექსტ მაგალითების და შემოქმედებითი დავალების იდეების დონეზე. ინტერვიუების დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან. საზოგადოებრივი მეცნიერების საგანში (დაწყებითი საფეხური-ჩვენი საქართველო) შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მოსწავლეს ეძლევა საშუალება თავის უნარის, გამოცდილებისა და ინტერესების შესაბამისად შექმნას შემოქმედებითი პროდუქტი. რჩევა: (დაწყებითი საფეხური-ჩვენი საქართველო) სასურველია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში დაკონკრეტდეს შემოქმედებითი დავალების პროდუქტი.
უცხოური ენები	კათედრამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც საჭიროებენ კორექტირებას და დაზუსტებას მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე. ინტერვიუს



	დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. რჩევა: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას სასურველია ყურადღება გამახვილდეს მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და საჭიროებებზე. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას მკაფიოდ წარმოჩინდეს, თუ რას ისახავს მასწავლებელი მოსწავლესთან სამუშაოდ და მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს მოსწავლის პროგრესი. მიზნების დასახვისას მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს თუ რა უნდა გააცნობიეროს მოსწავლემ და რა უნდა შეძლოს ცნებასთან მიმართებით.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისე და ინტერვიუშიც ვრცლად ისაუბრეს როგორც სსსმ მოსწავლისთვის შემუშავებულ ინდივიდუალურ დავალებზე. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ისიც რომ ორივე, ხელოვნების და მუსიკის მასწავლებელი მუდვიმად იყენებს დიფერენცირებულ მიდგომას მოსწავლეებთან, რასაც ამ საგნების სპეციფიკა და მათ მიერ განხორციელებული პრაქტიკული აქტივობებიც უწყობს ხელს.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდ გეგმა და მის მიერ შესრულებული დავალებები.



მათემატიკა	სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. გასაუბრებისას გაირკვა, რომ სწავლებისას მასწავლებლები იაზრებენ დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობას. სკოლას დაწყებით საფეხურზე ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე და წარმოდგენილია ისგ გეგმა მათემატიკაში. რჩევა (დაწყებითი საფეხური): სასურველია ისგ-ში შუალედური სასწავლო მიზნები შესაბამისი აქტივობებითა და რესურსებით გაწერილი იქნას კურიკულუმით განსაზღვრულ ყველა თემაზე, მესამე თაობის ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების (სამიზნე ცნებები, სტანდარტის შედეგები) გათვალისწინებით.
სპორტი	პედაგოგებთან საუბრისას აღმოჩნდა რომ ისინი ცდილობენ სასწავლო პროცესები მოარგონ მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებს და ფიზიკურ შესაძლებლობებს, გაითვალისწინონ ნებისმიერი მოსწავლის ინტერესები. როგორც პედაგოგმა აღნიშნა საუბრისას, სკოლის სსსმ მოსწავლე, არ საჭიროებს ამ საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.
ტექნოლოგიები	ინკლუზიური განათლების კონცეფციის თანახმად, სკოლაში შექმნილია გარემო, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, შესაძლებლობები და სწავლის პოტენციალი. თითოეული მოსწავლე განიხილება როგორც უნიკალური თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. აქვს შექმნილი მოსწავლისათვის ისგ. თუმცა სასურველია:



	რჩევა: სასურველია, ისგ-ში შუალედური სასწავლო მიზნები შესაბამისი აქტივობებითა და რესურსებით გაწერილი იქნას კურიკულუმით განსაზღვრულ ყველა თემაზე,
ზოგადი განათლების დაწესებულებების საფეხური	დაწყებით საფეხურზე პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინკლუზიურ მიდგომებს. რჩევა: სასურველია, არჩევითი დავალებები და ადაპტირებული რესურსები აისახოს კურიკულუმებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებს. განმსაზღვრელი-ესგ-თი გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, მომავალში შეფასების რუბრიკები შემუშავდეს ყველა სასწავლო თემის შესაბამისად.
---------------------------------------	---



საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტურ უნარების განვითარებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, შეფასების რუბრიკების შექმნისას პედაგოგებმა იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებით, რომ შესაძლებელი იყოს მოსწავლის (როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი) შეფასება კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნებებთან მიმართებით.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს კათედრამ ანიშნა, რომ აქტიურად მუშაობენ შეფასების ფორმების შექმნაზე და დახვეწაზე. რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშავოს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა თითოეული თემის ფარგლებში, რომელიც ნათლად აჩვენებს კრიტერიუმებთან მიმართებით რამდენად დაძლია მოსწავლემ შედეგების მიღწევის ინდიკატორები გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მიხედვით.



ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი რუბრიკების და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა მუსიკასა და ხელოვნებაში მეტწილად ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპების, მიზნებისა და ამოცანების შესაბამისია. ისინი საგნის სტანდარტს ეფუძნება, თუმცა ძალზე ზოგადია. თუმცა, რუბრიკები უმეტესად ძალზე ზოგადია. რჩევა: ძალიან მნიშვნელოვანია რომ სკოლას ჰქონდეს არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებებს მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც მთლიანად მისაღწევ შედეგებზე და ცნებებზე იქნება დაფუძნებული.
სახელმწიფო ენა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების ბარათები ყველა კლასისთვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული შეფასების კრიტერიუმებით
მათემატიკა	სკოლის მიერ ვიზიტისას წარმოდგენილი თემების განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები მიმართულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე, თემის მიხედვით განსაზღვრულია მკვიდრი წარმოდგენები და ჩამოყალიბებულია მოლოდინები, კონკრეტული თემისა და კლასის მიხედვით რა უნდა შეძლოს მოსწავლემ. მეხუთე კლასის შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმაში ჩანს განმსაზღვრელი



	შეფასების კავშირი სტანდარტის შედეგებთან. ამავდროულად წარმოდგენილ დოკუმენტებში ხშირადაა მოცემული რუბრიკები, რომლებშიც არ ჩანს კავშირი გრძელვადიან მიზნებთან და ვერ ქმნის საფუძველს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტიკისთვის. რჩევა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური): მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ საგულდაგულოდ დაგეგმოს შემოქმედებითი და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელთა გამოყენებაც შუალედური მიზნების მიღწევის საშუალებად განისაზღვრება. თითოეულ ასეთ დავალებას უნდა ჰქონდეს მკაფიო კავშირი შესაბამის სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან. სასურველია, ყველა თემასა და შემოქმედებით დავალებაზე შეიქმნას როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა სტრუქტურა მოიცავს: დავალების აღწერასა და პირობებს, მითითებას სამიზნე ცნებაზე/ სტანდარტის შედეგებზე, რომლებსაც დავალება ემსახურება, შეფასების რუბრიკას ან კრიტერიუმებს.
სპორტი	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები სასწავლო პროცესის შესაფასებლად თუმცა ისინი ზოგადია და საჭიროებს დახვეწას, რათა იყოს მეტად მორგებული საგნობრივ სტანდარტს, გამომდინარეობდეს კურიკულუმით გაწერილი კონკრეტული თემებიდან და აფასებდეს სტანდარტით გათვალისწინებული სამივე სამიზნე ცნებისთვის მისაღწევ შედეგს. რჩევა: (სამივე საფეხურისათვის) სამომავლოდ, სასურველი იქნება, შეფასების რუბრიკები შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებული თემების მიხედვით, კრიტერიუმები



	გამომდინარეობდეს ამ კონკრეტული თემის საკითხებიდან და აფასებდეს საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ თითოეულ სამიზნე ცნებას.
ტექნოლოგიები	სწავლებისას გათვალისწინებულია როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და სქემები. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები არ ჩართული არიან შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში რაც ლოგიკურია ვერ გაზრდის სანდოობას. რჩევა: შეიქმნას თითოეული სასწავლო თემის შესაბამისი შეფასების რუბრიკები. შემუშავებული რუბრიკები დეტალურად გააცნონ მოსწავლეებს (თუ არ ამონაწილევებს ზოგიერთის შექმნის პროცესში)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. რჩევა: სასურველია, ყველა საგანში შემუშავდეს კურიკულუმში დაგეგმილ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლების რეფლექსიები;
- განხორციელებული პროექტები;
- სამივე საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტი და ფოტო მასალა;
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები (კომპიუტერული ტექნოლოგიები;)

შეფასება:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. მრავალფეროვანი მიმყვანი აქტივობები იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებას და აქტიურ ჩართვას სწავლის პროცესში. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ სხვადასხვა საინტერესო აქტივობას, პროექტებს. წარმოდგენილია განხორციელებული პროექტების ფარგლებში შექმნილი უამრავი პოსტერი.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს. სასწავლო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. კურიკულუმში წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებები გათვლილია მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. მოსწავლეს ეძლევა საკუთარი



	თავის წარმოჩენის საშუალება მასწავლებლების მიერ შერჩეული პროდუქტებით-პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით, სტატიებით და სხვა. კათედრა გეგმავს, რომ სასკოლო კურიკულუმის გაანალიზების შემდეგ კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად ცვლილებები შეიტანოს კურიკულუმში. სკოლაში განხორციელდა პროექტები „მე და არჩევნები“; „სიმონ ჩიქოვანის სახლ-მუზეუმის პოპულარიზაცია“; „ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით“; „სასამართლო ხელისუფლების როლი საზოგადოებაში“ წარმოდგენილია პროექტები და შესაბამისი ფოტო მასალა. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია ზოგიერთი შუალედური მიზნის მოდიფიცირება და დაკონკრეტება თუ რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა შექმნას მოსწავლემ.
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუს საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება კურიკულუმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულობას, სისტემურობას და მიზნობრივობას.
ესთეტიკური აღზრდა	ინტერვიუს შედეგად დადგინდა რომ ☐ სასწავლო პროცესი მუსიკასა და ხელოვნებაში მეტწილად დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა ამ ორი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ზოგჯერ ცვლილებების შეტანაც, სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების საჭიროებიდან გამომდინარე.



სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარით, წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმში გაწერილია საგნის სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემები და სამიზნე ცნებები. სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებულია სასწავლო რესურსები და ქვეცნებები. კურიკულუმების ჩარჩოებში აგრეთვე ასახულია შუალედური სასწავლო მიზნები შემოქმედებითი დავალების იდეა/პირობის დასახელებით, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს კომპლექსური ან კომპლექსური ბუნების დავალებებს.
მათემატიკა	სასწავლო პროცესი აგებულია კურიკულუმში განსაზღვრული მიზნებისა და შედეგების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ერთიან სტრატეგიას. საგნობრივი თემატიკა, მიზნები და აქტივობები შეთანხმებულია კურიკულუმში გაწერილ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებთან, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლეთა განვითარებისთვის.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოში, პედაგოგების მიერ სწორადაა გაწერილი ის სასწავლო თემები და საკითხები, რომელთა განხორციელებასაც მოახერხებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, სკოლის ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურითა და ინვენტარით. სკოლის მოსწავლეები, კურიკულუმით გაწერილი თემების ფარგლებში სასკოლო აქტივობების გარდა (სასკოლო ფესტივალები), მონაწილეობას იღებენ სკოლის გარე, არაფორმალური განათლების შესაბამის აქტივობებშიც. მათი მოსწავლე გახდა გამარჯვებული მუნიციპალურ თამაშებში- მძლეოსნობაში (გეზრბენი).



ტექნოლოგიები	საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი აქტივობები სამიზნე ცნებებთან და თემასთან მიმართებაში შესაბამისია. შერჩეულია კომპლექსური დავალების იდეები, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები, თუმცა შესაძლებელია იდეებისა და აქტივობების გამრავალფეროვნება. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. რჩევა: სასურველია, კურიკულუმში დაკონკრეტდეს, საჭიროების შემთხვევაში, მოდიფიცირების შედეგად შექმნილი პროდუქტის სახელდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

მოქნილობა არის სკოლის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და ინოვაციური გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მიმართულების გაძლიერებისთვის სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა, ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების შეთავაზება, დამატებითი გაკვეთილებისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი



საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ობიექტური, განჭვირვალე, ვალიდური და სანდოა. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკაში ასახულია, რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. სწორად არის შერჩეული შეფასების კრიტერიუმები. განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების ინდიკატორებს. განმავითარებელ შეფასების რუბრიკაში მოცემულია მასწავლებლის მოლოდინები ამა თუ იმ სამიზნე ცნებასთან დაკავშირებით. როგორც ინტერვიუების დროს გაირკვა, მოსწავლეებმა წინასწარ იციან, როგორ შეფასდებიან. ზოგ შემთხვევაში თავადაც მონაწილეობენ შეფასების რუბრიკების შექმნაში. რჩევა: საბაზო საფეხური: ყურადღება მიქციეთ, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართებოდეს სამიზნე ცნებებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილია როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები (ინტერესი და ჩართულობა, დისკუსიის, თამნამშრომლობის, პრეზენტაციის შეფასების რუბრიკები) ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში სამიზნე ცნებებთან მიმართებით. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც



	რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია თანაბარი სამართლიანობა. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შემუშავდეს კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე კათედრა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ჩართულობას, წაკითხულის გააზრებას, მოსმენილის გაგებას, მეტყველებას, წერის უნარებს შესასწავლ ენაზე. რჩევა: სასურველია, შეფასების რუბრიკების შედგენისას იხელმძღვანელონ შედეგების მიღწევის ზოგადი ინდიკატორებით და შეფასდეს ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები.
ესთეტიკური აღზრდა	გამოგზავნილი შეფასების რუბრიკების და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დაგინდა რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე და ობიექტური. მასწავლებლებს წარმოდგენილი ქონდათ როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, თუმცა ძალზე ზოგადი.



	რჩევა: ძალიან მნიშვნელოვანია რომ სკოლას ჰქონდეს არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კონკრეტულ დავალებებს მორგებული შეფასების რუბრიკები, რომლებიც მთლიანად მისაღწევ შედეგებზე და ცნებებზე იქნება დაფუძნებული.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. კათედრის მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილია რუბრიკები, როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების. სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის დოკუმენტი, სადაც ასახულია ინფორმაცია არსებული შეფასების სისტემის თავისებურებებზე. მასწავლებლებთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ გაკვეთილზე განხორციელებული ცალკეული აქტივობები შესაბამისი კრიტერიუმით ფასდება, რომლებზეც მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულნი.
მათემატიკა	სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სამიზნე ცნებებზე და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომელთა მსგავსადაც უნდა იქნას მოდიფიცირებული ის შეფასების რუბრიკები, რომლებიც არაა გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული და რომლებიც აგრეთვე არის წარმოდგენილი სკოლის დოკუმენტაციაში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მუშაობენ რუბრიკების მოდიფიკაციაზე და ახალი სასწავლო წლისათვის ყველა რუბრიკას მოიყვანენ შესაბამისობაში. გაირკვა, რომ მასწავლებლები შეფასების ინსტრუმენტებს აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს, შეხვედრებზე განიხილავენ შეფასების რუბრიკების შესაბამისობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი იძლევა



	კარგ საფუძველს შეფასების სისტემის ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და ობიექტურობის უზრუნველსაყოფად. რჩევა (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური): სასურველია, ყველა თემასა და შემოქმედებით დავალებაზე შეიქმნას როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა სტრუქტურა მოიცავს: თემას, დავალების აღწერასა და პირობებს, მითითებას სამიზნე ცნებაზე/ სტანდარტის შედეგებზე, რომლებსაც დავალება ემსახურება, შეფასების რუბრიკას ან კრიტერიუმებს. სკოლამ პრაქტიკაში დანერგოს წარმოდგენილი შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტის მეოთხე და მეხუთე მუხლის მოთხოვნები.
სპორტი	პედაგოგებს წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები და სკოლაში არსებობს ვერიფიკაციის მექანიზმი. სამომავლოდ, შეფასების რუბრიკების მეტი ვალიდურობისათვის, სასურველია, ისინი შეიქმნას კურიკულუმით გათვალისწინებულ ყველა თემაზე. ამის შესახებ რჩევა გაწერილია დასკვნის რჩევების ნაწილშიც.
ტექნოლოგიები	დოკუმენტაცია ადასტურებს და გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს მეტწილად აქვს გააზრებული, რომ შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების შესაბამისობა დავალებებში ასახულ სამიზნე ცნებებთან. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,



	თვითშეფასების რუბრიკები, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, რომ იცოდნენ თუ როგორ და რაში ფასდებიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია მოსწავლის პროგრესის შესახებ სწავლის პროცესში, ასევე ეხმარება მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე და გააუმჯობესოს მიღწევები. შეფასების რუბრიკა აჩვენებს მოსწავლეს რომ ფასდება მხოლოდ ის, რისი შეფასებაც მიზნობრივადაა განზრახული, რას შეფასების სისტემას კიდევ უფრო ვალიდურს, ობიექტურს, გამჭირვალეს, სანდოსა და ობიექტურს ხდის. ზოგადი ხასიათის რუბრიკები არ იძლევა სურათის ნათლად დანახვის საშუალებას, არცერთი ჩართული მხარისათვის. რჩევა: სასურველია, შემუშავდეს ყველა საწავლო თემის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ შედეგებს. რჩევა: სასურველია, აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი. დოკუმენტი ადგენს შემუშავებული ზოგადსაგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შეფასების (ვერიფიკაციის) მექანიზმს. ვერიფიკაციის მექანიზმი უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას. სკოლა თავის საქმიანობას განახორციელებს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული მექანიზმის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს კანონმდებლობის შესაბამისად, სადაც ინახება მოსწავლეთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები. მოსწავლის შეფასებები დამრიგებლების მიერ აისახება პირად საქმეებში, დოკუმენტების შენახვისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლების რეფლექსიები;

- განხორციელებული პროექტები;
- შეფასების ვერიფიკაციის დებულება;
- სამივე საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტი და ფოტო მასალა;
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები (კომპიუტერული ტექნოლოგიები;)

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესში შედეგების მისაღწევად გამოიყენება კურსკულუმით ძირითად რესურსად განსაზღვრული გრიფირებული სახელმძღვანელოები და დამხმარე
--------------------------------	--



	ელექტრონული რესურსები. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი, პროექტორი, რაც საშუალებას აქძლევს მასწავლებლებს ინტენსიურად გამოიყენონ ელექტრონული რესურსები. ყველა საკლასო ოთახში გამოკრულია მოსწავლეების მიერ შექმნილი პოსტერები, რაც აგრეთვე შეიძლება გამოყენებული იყოს სასწავლო რესურსად. რჩევა: ფიზიკის და ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიები აღჭურვით მატერიალური რესურსებით, რათა შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება სხვადასხვა თემის შესწავლისას, კვლევითი სამუშაოების ჩატარება და ა.შ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, პლაკატები, გლობუსები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. სარგებლობენ ტელე სკოლის გაკვეთილებით. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, თითოეული თემის დამუშავებისას გამოყენებული იყოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები, როგორც ციფრული, ისე მატერიალური სახით.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და გასაუბრებით.



	რჩევა: კურიკულუმის ჩარჩოში კონტექსტმაგალითები და მაგალითები შედარებისთვის წარმოდგენილია იდეის დონეზე. სასურველია, მათი დაკონკრეტება და გამრავალფეროვნება: შეირჩეს ელექტრონული რესურსები, სიტუაციები/ქეისები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას.
ესთეტიკური აღზრდა	ხელოვნებასა და მუსიკაში ძირითად რესურსად გრიფირებული სახელმძღვანელოები გამოიყენება. ასევე, რესურსებში მითითებულია სამინისტროს რესურსები და ტვ სკოლა. რჩევა: სასურველია, სხვა რესურსების დამატებაც სასწავლო პროცესის უკეთ წარსამართად.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი, აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვეა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.
მათემატიკა	კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადი სახელმძღვანელოები, დამხმარე რესურსებად გამოიყენება ძირითადად ციფრული რესურსები.



	რჩევა: თემების დამუშავებისას სასურველია, პედაგოგებმა დაგეგმონ მრავალფეროვანი დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება და აქტიურად გამოიყენონ როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული რესურსები, რაც სასწავლო პროცესს გაცილებით ინტენსიურს და ეფექტურს გახდის.
სპორტი	პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, და კურიკულუმში შეტანილი რესურსებიც ადასტურებს, რომ ისინი სასწავლო პროცესში იყენებენ კურიკულუმით გაწერილ რესურსებს: არსებულ სპორტულ ინვენტარს, გზამკვლევებს მასწავლებლისათვის, ინტერნეტ რესურსებს. პედაგოგები ცდილობენ არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში, სააწავლო პროცესი მოსწავლეებისათვის იყოს მრავალფეროვანი და ხელი შეუწყოს მათი კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის საფეხურებრივ შედეგზე გაყვანას.
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. გარდა სახელმძღვანელოებისა სკოლა აქტიურად იყენებს ინტერნეტში გავრცელებულ ონლაინ რესურსებს, ვიდეო რგოლებს. თუმცა არ აქვს მითითებული კურიკულუმში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში გამოიყენება გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, დამატებითი მატერიალური, აუდიო და ვიდეო რესურსები



	რჩევა: სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.
--	--

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის შესაბამისობას როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის, ისე სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომაზე მოხდა დამხმარე ელექტრონული რესურსების შერჩევა. მათი გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური და ჯგუფური განვითარებისთვის საჭირო უნარების ფორმირებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი სასწავლო რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრაზე (ზეპირი) განხილვის შედეგად. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სამომავლოდ იგეგმება სასწავლო წლის დასაწყისში კათედრის სხდომაზე მოხდეს დამატებითი სასწავლო რესურსების ვალიდაცია. რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური) სასურველია, სამომავლოდ საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრამ უზრუნველყოს დამატებითი დამხმარე



	რესურსების (მეთოდური ლიტერატურა, ანიმაცია, ფოტომასალა, ინტერნეტ რესურსები, დამატებითი სახელმძღვანელოები) ვალიდაცია.
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის ოქმით დგინდება, რომ დამატებითი სასწავლო რესურსები შერჩეულია და შეთანხმებულია კათედრის სხდომაზე.
ესთეტიკური აღზრდა	რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და შეთანხმებულია კათედრის სხდომაზე.
სახელმწიფო ენა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე. გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა.
მათემატიკა	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. კათედრამ წარმოადგინა ოქმი, სადაც დასტურდება მათემატიკაში დამხმარე რესურსების შესაბამისობის განხილვისა და შერჩევის ფაქტი
სპორტი	გასაუბრებისას აღმოჩნდა და კათედრის ოქმებიც ადასტურებს, რომ ისინი ახდენენ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას.
ტექნოლოგიები	საგნობრივი კათედრები განიხილავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ დამხმარე სასკოლო სასწავლო რესურსების ვალიდურობას, პირველი ოქმით განიხილეს დამატებითი



	რესურსები. მოცემულია კათედრის პირველი სხდომის ოქმი. სკოლამ არ წარმოადგინა რესურსების ვალიდაციის სხვა რაიმე დოკუმენტი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა შეთანხმებულად, დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში განთავსებულია ფიზიკის და ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიები, თუმცა არ არის აღჭურვილი არანაირი მატერიალური რესურსით, რაც ხელს შეუწყობდა სწავლა-სწავლების პროცესს. არ არის გამწოვი კარადაც. <i>სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (2026 წლის 25 ივლისამდე) უზრუნველყოს სკოლაში განთავსებული ფიზიკის და ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიების მატერიალური რესურსით აღჭურვა.</i>
--------------------------------	---



საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებით. კლას-კაბინეტებში განთავსებულია საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების სწავლებისთვის შესაბამისი რესურსი: რუკები, პლაკატები, გლობუსი. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტი.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია გრიფირებული სახელმძღვანელოებით და დამატებითი მრავალფეროვანი რესურსით.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლას აქვს ხელოვნების და მუსიკის კაბინეტი, რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანი ამ საგნებისთვის საჭირო რესურსით არის აღჭურვილი.
სახელმწიფო ენა	თვითშეფასების კითხვარითა და პედაგოგებთან ინტერვიუთი გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს, რაც დასტურდება გადმოგზავნილი დოკუმენტაციითაც.



მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს მოთხოვნილ რაოდენობაზე სწავლისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებსა და თვალსაჩინოებებს.
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სკოლაში არსებული მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ტექნოლოგიები	სკოლაში სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალური რესურსით, სკოლას ამ ეტაპზე აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, თუმცა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, არაა საკმარისი ტექნიკა 6 კომპიუტერია მხოლოდ და მოსწავლეებს მოაქვთ ბუკები და ერთად აკეთებენ დავალებებს ან წყვილებში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, ყველაზე დიდი მოსწავლეთა რაოდენობა არის 13, როგორც პედაგოგმა მითხრა გასაუბრებისას. ჰყავს ერთი ისტის წამყვანი მასწავლებელი. მისი კვალიფიკაცია იძლევა საშუალებას რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისად, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის გამოყებით. რჩევა: სასურველია, სკოლამ უზრუნველყოს კომპიუტერული ლაბორატორიის მოწყობა, შესაბამისი ტექნიკით- კომპიუტერებით აღჭურვა.



ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით.
--------------------------------------	--

საბაზო და საშუალო საფეხურზე ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

პედაგოგიური საბჭო შედგება - 20 მასწავლებლისაგან; ერთი სპეცმასწავლებელი და სამი მოწვეული მასწავლებელი. E-school-ის მონაცემებით დასტურდება მასწავლებლების შესაბამისი კვალიფიკაცია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლების რეფლექსიები;
- განხორციელებული პროექტები;
- სამივე საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების ბარათები
- განხორციელებული კომპლექსური დავალებები

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროდუქტები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- განხორციელებული პროექტი და ფოტო მასალა;
- სადამრიგებლო პროგრამები და პორტფოლიოები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად

აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ სეფიეთის საჯარო სკოლის მიერ შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგიის შესაბამისად, მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლაში, საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ, კერძოდ, მათი მიგნებები, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. საგნობრივი კათედრების მიერ მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ამ პროცესების განხილვა ხორციელდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერად. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

მონიტორინგის შედეგების განხილვა ხდება მშვიდ, მეგობრულ გარემოში, ხდება სამუშაო პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების მითითება და მისი აღმოფხვრის გზების ძიება. დირექცია ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების განვითარებას. კერძოდ, ტრენინგებში, პროექტებში მასწავლებელთა ჩართულობას. დირექტორი უზრუნველყოფს ტრენინგების შესახებ ინფორმაციის

მომიებას და სასკოლო საზოგადოებაში გავრცელებას. ასევე, ხელს უწყობს მასწავლებლებს და უქმნის შესაბამის გარემოს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. მოსწავლის შეფასებებისას სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია შუალედური შედეგის შესამოწმებელ დავალებასთან. ამ პროცესში პედაგოგი ინტენსიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან: აზუსტებს დავალების პირობას, აკვირდება და ინიშნავს ვის რა უძნელდება სწავლა-სწავლების პროცესში. საჭიროებისამებრ, აწვდის მოსწავლეებს დამატებით, დამხმარე აქტივობებს, უსვამს მისახვედრებელ შეკითხვებს. პასუხს სცემს მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს. შედეგად პედაგოგს ცხადი წარმოდგენა უყალიბდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პროგრესირებს მოსწავლე სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური კონტექსტის მექანე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უზიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. მოსწავლემ წინასწარ იცის რა კრიტერიუმებით ფასდება მისი სასწავლო აქტივობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სტატისტიკურ მონაცემებს. მიმდინარე სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კურიკულუმში არსებული შეფასების სისტემა მოიცავს სხვადასხვა ფაქტორებს. კურიკულუმში შემუშავებულია ისეთი სტრატეგიები, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინტერესისა და უნარის დადგენაზე. სემესტრის განმავლობაში მოსწავლეები ფასდებიან საგაკვეთილო პროცესში ჩართულობითა და აქტიურობით, საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციის, მოსწავლის შესაძლებლობითა და უნარჩვევებით. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მთელი წლის განმავლობაში პედაგოგები სწავლობენ დანერგვის პროცესს (აგროვებენ მონაცემებს; აანალიზებენ მათ კათედრის სხდომებზე; პრობლემების გადასაჭრელად განიხილავენ ამა თუ იმ ინოვაციის დანერგვის პერსპექტივას), ამ გამოცდილების საფუძველზე კი სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებენ მუშაობას მომდევნო წლის სასწავლო გეგმაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დგება ახალი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, ეს გამოცდილება აისახება როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.



დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 07.08.2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: **მ. კანდელაკი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარიამ მათიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

მ. მათიაშვილი

მარინა ჯალიაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი) **მ. ჯალიაშვილი**

ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნ. ქურთიაშვილი-თაბორიძე



თამარ ჩალახეშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

თამარ ხოსროშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

ანა ობოლაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

ა. ობოლაძე

ირმა ხუნდაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

ავთანდილ კეჭაყმაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)

ა. კეჭაყმაძე

მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი)

მ. ანესაშვილი

ლელა მანგოშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)